| 16. ზერეკიძე ირაკლი<br>ოოსების-ძე          | — ქარხნის დირექტორი                |
| 17. ინასარიძე გივი<br>ივანეს-ძე            | — სამუშაოთა მწარმოებელი            |
| 18. კევლიშვილი ანზორ<br>სერგის-ძე          | — მგრაგნელი                        |
| 19. კელაშვილი რუბენ<br>აპოლონის-ძე         | — ხარატი                           |
| 20. კვესელავა აბესალომ<br>გრიგოლის-ძე      | — ქარხნის დირექტორის მოადგილე      |
| 21. კუპრავა მიხეილ<br>ალექსის-ძე           | — საამქროს უფროსი                  |
| 22. ლომიძე ალექსი<br>გედვინის-ძე           | — საქართველო კომიტეტის თავმჯდომარე |
| 23. მაისურაძე ვლადიმერ<br>ივანეს-ძე        | — განყოფილების უფროსი              |
| 24. მამულაშვილი მიხეილ<br>გიორგის-ძე       | — კალატოზთა ბრიგადირი              |
| 25. მასხარაშვილი აპოლონ<br>ანდრიას-ძე      | — ქარხნის მთავარი ინენერი          |
| 26. ნასყიდაშვილი ელისაბედ<br>იასონის ასული | — განმამხლოებელი                   |

- |  |  |
|--|--|
| 27. ნიერაძე ბორის<br>კონსტანტინეს-ძე   | — საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის<br>საბჭოს ელექტროტექნიკური და ხელსა-<br>წყომშენებლი მრეწველობის სამმართვი-<br>ლოს საწარმოო-ტექნიკური განყოფილე-<br>ბის უფროსის მოადგილე |
| 28. პოლოვნიო ივანე<br>შათელ-ძე         | — საამქროს უფროსი  |
| 29. რიბაკი ევგენი<br>კაროლის-ძე        | — უფროსი ოსტატი  |
| 30. სარიშვილი სულეიმან<br>იპოლიტეს-ძე  | — პარტბიუროს მდივანი   |
| 31. ტაგანაშვილი ვიქტორ<br>გიორგის-ძე   | — სამშენებლო უბნის უფროსი  |
| 32. ფოფხაძე ამბროსი<br>კონსტანტინეს-ძე | — საამქროს უფროსი  |
| 33. ღამბაშიერ გივი<br>გიორგის-ძე       | — მთავარი ტექნოლოგი  |
| 34. ჩადუნელი გურამ<br>შალვას-ძე        | — ზეინქალი   |
| 35. ჩხიფაძე ვარლამ<br>ლეონტის-ძე       | — საამქროს უფროსი  |
| 36. ცომაია ალექსანდრე<br>გიორგის-ძე    | — მთავარი ინჟინრის მოადგილე  |
| 37. ძიძიკაშვილი შოთა<br>ნიკოლოზის-ძე   | — სარატი   |
| 38. ხელურიანი გივი<br>ერასტის-ძე       | — ზეინქალი.  |

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს  
პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს  
პრეზიდიუმის მდივანი ჭ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი.  
1959 წლის 29 სექტემბერი.

14. ბრძანებულება პოეტ-აკადემიკოს იოსებ გრიშაშვილისათვის (იოსებ გრიგო-  
ლის-ძე მამულაშვილისათვის) საქართველოს სსრ სახალხო პოეტის საპატიო  
წოდების მინიჭების შესახებ

დაბადებიდან სამოცდათან წლისთავთან დაკავშირებით და ქართული  
საბჭოთა პოეზიისა და ქართულ ეროვნული კულტურის განვითარების საქმე-  
ში თვალსაჩინო დამსახურებისათვის მიენიჭოს პოეტ — აკადემიკოს იოსებ



გრძელვილს (იოსებ გრიგოლის-ძე მამულაშვილს) საქართველოს სსრ სახალხო პოეტის საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს  
პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს  
პრეზიდიუმის მდივანი ჰ. გელლიაშვილი.

ქ. თბილისი.

1959 წლის 3 ოქტომბერი.

**15. ვანის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის  
მუშაობის შესახებ**

მოისმინა და განიხილა რა ვანის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. ა. ლომინაძის ანგარიში, რაისაბჭოს აღმასკომის მუშაობის შესახებ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ რაიონული საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა უკანასკნელ დროს საკრძნობლად გააუმჯობესა ორგანიზაციური მუშაობა. რეგულარულად იწვევა საბჭოს სესიები და აღმასრულებელი კომიტეტის სხდომები, იხილება სამეურნეო და კულტურული მშენებლობის აქტუალური საკითხები და ხორციელდება პრაქტიკული ლონისიძებები მათი შესრულებისათვის, რის შედეგადაც რაიონში ერთგვარი წარმატებები მოპოვებული სოფლის მეურნეობის განვითარების, სახალხო განათლების, მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების, რაიონული ცენტრის კეთილმოწყობისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების გეგმების შესრულების საქმეში.

რაიონის კოლმეურნეობებში ამაღლდა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა და ცხოველთა პროდუქტების მოსავლიანობა, რის შედეგადაც გაიზარდა კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება. 1958 წელს თვითოული ჰექტარი სიმინდის ნათესიდან მიღებული იქნა 16,9 ცენტრერი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 12 ცენტრერისა, ყურძენი 61,1 ცენტრერი, ნაცვლად 50 ცენტრერისა, თვითეულ საფურავე ძროხაზე მოწველილია 743 კილოგრამი რე, ნაცვლად — 700 კილოგრამისა.

ამასთან ერთად ვანის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს მუშაობაში გააჩნია რიგი ნაკლოვანებანი. რაიონის კოლმეურნეობებში არ სრულდება ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული ფულადი შემოსავლის გეგმები და წლითო-წლობით მცირდება ფულადი შემოსავალი. გასულ 1958 წელს რაიონის კოლმეურნეობებში ფულადი შემოსავალი შეადგენდა 12.448.521 მანეტს, ნაცვლად ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული 15.711.000 მანეტისა. 1953 წლითან შედარებით ფულადი შემოსავალი მარტო მეცხველეობიდან შემცირებულია ოთხი მილიონი მანეტით. აღსანიშნავია, რომ რაიონის 25 კოლმეურნეობიდან 1958 წლის მონაცემებით მილიონერი მხოლოდ ერთი კოლმეურნეობაა.

მიუხედავად სულადობის გეგმის შესრულებისა სერიოზული ნაკლოვანებებია მეცხველეობაში. გასულ წლებთან შედარებით რაიონში მსხვილფეხა რეიანი პირუტყვის სულადობა შემცირდა 1.785 სულით, მათ შორის ძროხისა — 397 სულით; დედა ღორისა — 155 სულით, ცხვრისა

და თხისა — 1.359 სულით, ხოლო ფრინველისა — 6.657 ფრთით, მაშინ როდესაც ამავე პერიოდში კოლექტურნეთა და მუშა-მოსამსახურეთა მეურნეობებში პირუ-ტყვის რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა.

რაიონი ჩამორჩება შეცხოველების პროდუქტების წარმოების გეგმების შესრულების საქმეში. ხორცის წარმოების წლიური ვალდებულება შესრულებულია 22,4 პროცენტით, მათ შორის ღორის ხორცისა — 12,9 პროცენტით, რძისა — 48,5 პროცენტით, მატყლისა — 50 პროცენტით და კვერცხისა — 18,7 პროცენტით. პროდუქციის წარმოების ვალდებულებანი არ შესრულებულა 1958 წელშიც.

სათანადო ღორისძიებანი არ ტარდება ბერწიანობის ლიკვიდაციის და პირუტყვის საერთო ჯოგში დედა პირუტყვის სულადობის გადადებისათვეს. მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის საერთო ჯოგში დედა პირუტყვის ხევდრითი წონა რაიონის კოლმეურნეობებში 21,2 პროცენტს არ აღმატება, ხოლო ყოველ ას დედა პირუტყვები ბერწად დარჩენილია 33. ოვითეული დედა ღორიდან წლის მანძილზე მიღებულია მხოლოდ 6 გოჭი.

რაიონში მოწყობილი არ არის პირუტყვის გასუქების ორგანიზაცია. მიმდინარე წლის 8 თვის განმავლობაში სახელმწიფოსათვეს ჩაბარებული 1.558 ცენტნერი შსხვილფეხა რქიანი პირუტყვიდან საშუალოზე დაბალი სიმსუქნისა იყო 1.025 ცენტნერი ანუ 67 პროცენტი, ხოლო ჩაბარებული ცხერისა და თხის რაოდენობიდან საშუალოზე დაბალი სიმსუქნისა 39 პროცენტი. რაიონის კოლმეურნეობებში დიდია პირუტყვის დაცვის პროცენტი. 1958 წელში დაცვა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის საერთო რაოდენობის 5 პროცენტი, ღორების — 11,5 პროცენტი, ხბოების — 15,6 პროცენტი, გოჭების — 10,5 პროცენტი.

ჯეროვა ყურადღება არ ექცევა შეცხოველების პროდუქციის წარმოებაზე დანაბარჯების შემცირების საქმეს, რის გამო ზოგიერთი პროდუქტები შეტან ძვირი უჯდებათ. რაიონში საშუალოდ ერთი ლიტრი რძის ღირებულება შეადგენს 3 მანეთსა და 37 კაპიქს, ხოლო ღუცხუნის კოლმეურნეობაში 8 მანეთსა და 20 კაპიქს, ზედა ვანის კოლმეურნეობაში 8 მანეთსა და 70 კაპიქს და ყუმურის კოლმეურნეობაში 7 მანეთსა და 12 კაპიქს.

შებაღებობა-მეხილების განვითარებისათვეს რაიონის უმრავლეს კოლმეურნეობებში არსებული ხელსაყრელი პირობები მექსიმალურად არ არის გამოყენებული, ზოგიერთ კოლმეურნეობაში ხეხილის ბაღებს სათანადოდ არ უვლიან, რის შედეგადაც მცირება ხილის მოსავლიანობა. აღსანიშნავია, რომ უკანასკნელი სამი წლის მანძილზე ხილის საშუალო მოსავალი რაიონში 16 ცენტნერს არ აღმატება, ხოლო 1958 წელს 7 ცენტნერამდე დავიდა.

მევნეობის დარღვი რაიონში საერთოდ კარგი მდგრმარეობის მიუხედავდ, რიგ კოლმეურნეობებში ვენახები კარგად არ არის მოვლილი და დამუშავებული, ყველა ფართობებშიც არ შეაქვთ სასუქი, ვაზის წამლობას და შევანეობრივებს უხარისხოდ ატარებენ. მოუვლელობის შედეგად სოფელ ზედა ვანის კოლმეურნეობაში გადახმა და განადგურდა 4 ჰექტარი ვენახი, გაბმობის პროცესშია კიდევ სამი ჰექტარი. ვენახების მოვლის აგრძოტექნიკური წესების დარღვევის შედეგად ზოგიერთ კოლმეურნეობაში დაბალი ყურძნის მოსავლიანობა. მაგალითად, სოფელ ზუამთის, გადიდის, ყუმურის, ღუცხუნისა და ზედა ვანის კოლმეურნეობებში 1955-1958 წლებში ყურძნის საშუალო საპატარო მოსავალი 25 ცენტნერს არ აღმატებოდა.

რაიონს არ შეუსრულებია ჩაის შევანეობის ფოთლის კრეფის მიმდინარე



შლის გეგმა. პირველი ოქტომბრისათვის მოიკრიფა და სახელმწიფოს ჩაბარდა 37 ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი, ნაცელად გეგმით გათვალისწინებული 40 ტონისა.

რაიონის ზოგიერთ კოლმეურნეობაში უხეშად ირღვევა სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდება მიწათსარგებლობის, პირუტყვის პირადი საკუთრებაში ყოლის ნორმებისა და კოლმეურნეობთან ანგარიშწარმოების დარგში; რიგ კოლმეურნეობაში მოუწესრიგებელია მიწათსარგებლობის დოკუმენტაცია. დოროულად არ შეაქვთ ცვლილებები ზონარგებურლი წიგნებში, ადგილი აქვს საკოლმეურნეო მიწების მითვისებისა და უკანონო სარგებლობის ფაქტებს. სოფელ შუამთის კოლმეურნეობაში 7 კომლს მითვისებული აღმოაჩნდა 1,62 ჰექტარი მიწა, სოფელ მთისძირის კოლმეურნეობაში 8 კომლი ზედმეტად სარგებლობს 1,01 ჰექტარი მიწით, სოფელ ციხესულორის კოლმეურნეობაში შემოწებული 6 კომლიდან საკარმიდამო მიწის ნაკვეთი ზედმეტი აღმოაჩნდა 2 კომლს. სოფელ ზედა ვანის კოლმეურნეობაში საკარმიდამო ნაკვეთი მოუმატეს ოთარ და ვლადიმერ მამასახლისებს, რომლებიც კოლმეურნეობაში არ მუშაობენ, ხოლო შუამთის, ციხესულორის, ბზვანისა და ზედა ვანის კოლმეურნეობებში საკარმიდამო ნაკვეთებად გასცეს თესლბრუნვისათვის გამოყოფილი ნაკვეთები.

რაიონში საჭირო კონტროლი არ ხორციელდება კოლმეურნეთა და მუშა-მოსამსახურეთა პირად საკუთრებაში პირუტყვის ყოლის ნორმების დაცვისათვის, რის შედეგადაც საგრძნობლად იზრდება პირუტყვის რაოდენობა მეურნეობათა ამ კატეგორიებში. მიმდინარე წლის პირველი იანვრისათვის რაიონის კოლმეურნეთა და მუშა-მოსამსახურეთა მეურნეობებში ითვლებოდა 10.375 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, მათ შორის 4.150 ძროხა; 3.928 ლორი, 6.395 თხა და ცხვარი და 462 ცხენი. მაშინ როცა კოლმეურნეობებში ამავე პერიოდისათვის ირიცხებოდა 6.344 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, მათ შორის 1.439 ძროხა; 1.641 ლორი, 731 თხა და ცხვარი და 255 ცხენი. რაიონის კოლმეურნეობებში კოლმეურნებს უფლება აქვთ პირად სარგებლობაში იყოლიონ მხოლოდ ერთი ძროხა ორ წლამდე ნამატით, მაგრამ ზოგიერთს ფეხტიურად ორჯერ მეტი ყავს. იმასთან ზოგიერთ სოფლებში კოლმეურნებს პირად საკუთრებაში ყავთ მუშა-საქონელი—ხარები. სოფელ ძულუხის კოლმეურნეობის წევრებს პირად საკუთრებაში ყავთ 83 სული ცოცხალი გამწევი ძალა — ხარები, ყუმურის კოლმეურნეობის წევრებს 20, დუცხუნელ კოლმეურნებს 5 სული. ყუმურის კოლმეურნეობის წევრს ი. ბელთაძეს ორ ულელი ხარი ყავს, უ. ჯულაყიძეს ერთი ულელი. სულორის, დუცხუნის, ყუმურისა და ძულუხის კოლმეურნეობებში წესდებით კოლმეურნებს უფლება არ აქვთ იყოლიონ თხა, ფაქტიურად კი ზოგ მათვანს 15-20 თხა ყავს.

სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევა ვლინდება კოლმეურნებთან ანგარიშწორების გაფიანურებითაც. მიმდინარე წლის პირველი ივნისის მდგომარეობით გასული წლის შრომადლებზე გაცემული არ იყო 1.122.000 მანეთი, მაშინ როცა კოლმეურნეთა მეორე ნიშილს ზედმეტად ქონდათ მიღებული 781.000 მანეთი. გაზრდილია აგრეოვე დებიტორული დავალიანება 1953 წლის 227 ათასი მანეთიდან, მიმდინარე წლის პირველი ივნისისათვის 458 ათას მანეთამდე.

კოლმეურნეობებში მოისუსტებს შრომის დისკიპლინა, ნაკლოვანებები არსებობს შრომის ორგანიზაციის, აღრიცხვისა და ანაზღაურების დარგში. 1958 წლის წლიური ანგარიშებით შრომადლების საგალდებულო მინიმუმი

არ გამოუმუშავებია 969 კოლმეურნების, ხოლო 1959 წლის სასოფლო — სამუშაონერ სამუშაოთა მეორე პერიოდში 1.348 კოლმეურნების, მათ შორის 558 მამაკაცს. რაიონის ზოგიერთი კოლმეურნების 1958 წლის წლიურ ანგარიშებში ხელოვნურადაა შემცირებული იმ კოლმეურნების რიცხვი, რომელთაც არ გამოუმუშავებით შრომადლების სავალდებულო მინიმუმი. საკოლმეურნეო წარმოებაში შექსიმალურად არ არის გამოყენებული ქალთა შრომა, რაც იმის შედეგიც არის, რომ კოლმეურნებითაში არ არის მოწყობილი საბავშვო დაწესებულებები. 1958 წელს 6 კოლმეურნეობაში უნდა მოწყობილიყო საბავშვო დაწესებულება, მოწყობილოდ ერთ კოლმეურნეობაში. 1959 წელს არც ერთ კოლმეურნეობაში საბავშვო დაწესებულება არ არის მოწყობილი.

ნაკოლონებანი არსებობს სარემონტო ტექნიკური სადგურის მუშაობაში. ხშირია მანქანა-იარაღების შეკეთების გაჭიანურების შემთხვევები, არადამაკმაყოფილებულად მარაგდებიან რაიონის კოლმეურნეობები საჭირო და აუცილებელი მარაგ-ნაწილებით. ნელი ტემპით მიმდინარეობს საკოლმეურნეო ფერმებში შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია.

არადამაკმაყოფილებულად მუშაობს ადგილობრივი მეურნეობის კომბინატი, იგი ვერ ასრულებს პროდუქციის გამოშვების გეგმებს დაწესებული ასორტიმენტის მიხედვით, ხშირია დაბალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვების შემთხვევები: სათანადო ყურადღება არ ექვივა რაიონის ცენტრში სისუფთავის დაცვას, რაიცენტრის ქუჩებში, წარმოება-დაწესებულებებში, სპარიკმაბეროებში, საზოგადო ინიციატივების მიმღებებისა და სასურსათო სამარწეველო საქონლის მაღაზიებში ანტიანიტარული მდგრადარეობა გამოიყენებული. რაიონში არსებული ერთადერთი სასტუმრო კეთილმოუწყობდება.

სერიოზული ნაკლოვანებები არსებობს მოსახლეობის საგაჭრო მომსახურების საქმეში; რაიონობაკავშირის საგაჭრო ქსელსა და საზოგადო ინიციატივის ადგილი აქვთ უფატტურო საქონლით ვაჭრობის, ზომაში, წონასა და ანგარიშში მოტყუების შემთხვევების. რაიონის ცენტრიდან დაშორებული სიფლები სათანადოდ არ არის მომარაგებული პირველი მოთხოვნილების საქონლით. სავაჭრო ქსელსა და საზოგადო ინიციატივის ნაკლებადაა გამოიყენებული ქალთა შრომა. ქსელის მუშავთა საერთო რაოდენობიდან ქალები მხოლოდ 14 პროცენტს შეადგენენ.

რაიონის უმრავლესი სამეურნალო დაწესებულება მოთავსებულია შეუფერებელ ბინებში, სოფლის ყველა სამეურნალო დაწესებულება დაკომპლექტებული არ არის ექიმებით, დღეისათვის ვაკანტურია ხუთი ექიმის თანამდებობა. რაიონის სამედიცინო დაწესებულებები არ მარაგდებიან ხორცით, ბობა, რაიონის სატრენულით, და რძით, რის გამო სააგადმყოფოები ვერ ითვისებენ ავადყოფთა კვებისათვის განკუთვნილ თანხებს.

რაიონის ზოგიერთ სკოლაში არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა. საერთო აკადემიური მოსწრება 80 პროცენტს არ აღემატება. ადგილი აქვთ ნაკლოვანებებს საყოველთაო-საგადატებული სწავლების კანონის გატარების საქმეში, გასულ სასწავლო წელს რაიონის ბულო სწავლების კანონის გატარების საქმეში, გასულ სასწავლო წელს რაიონის დაწესებითს, შევიდწლიან და საშუალო სკოლებს ჩამოშორდა 120 მოსწავლე. არის შემთხვევები მოსწავლეთა ამორალური ქცევისა.

რაიონის ზოგიერთ სასოფლო საბჭოში არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული სოფლის მოსახლეობის კულტურული მომსახურების საქმე. იშვიათად უჩვენებენ კინო-სურათებს. სასოფლო ბიბლიოთები ღარიბია წიგნადი



ფონდით, არადამაქმაყოფილებლად შუშაობენ სასოფლო კლუბებთან არსებული წრეები.

რაიონში აღგილი აქვს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევებს, რაიმილიცია, სახალხო სასამართლო და პროკურატურა სათანადო არ იბრძვიან ქურდობის, ხულიგნობისა და საზოგადოებრივი წესრიგის სხვა დარღვევათა წინააღმდეგ. აღმოფხვრილი არ არის ინდივიდუალურ მფლობელობაში შეყვანი ავტომანქანების გამოყენება პირადი გადამდებრის მიზნით. ცუდად შუშაობენ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მოხალისეთა რაზეულები.

ნაკლოვანებან არსებობს რაიონული და სასოფლო საბჭოების ორგანიზაციული შუშაობაში. რაიონული საბჭოს აღმასკომი იშვიათად ისმენს კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების, განყოფილებათა გამგებისა და სხვა დაცვებულ წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელების ანგარიშებს. ზოგჯერ აღმასკომისა და სესიებისათვის საკითხები მშადდება ნაჩქარევად, მის მომზადებაში ნაკლებად მონაწილეობენ დეპუტატები, მუდმივი კომისიები და აქტივი, სასოფლო საბჭოების სესიებზე და აღმასკომების სხდომებზე საკითხების განხილვაში ძირითადად ერთიანი დეპუტატები მონაწილეობენ, გადაწყვეტილებანი კონკრეტული არაა, სესიებზე და იმამასკომის სხდომებზე გამლილი არ არის კრიტიკა და თვითკრიტიკა, არადამაქმაყოფილებლია კონტროლი მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებაშე.

სუსტად შუშაობს სასოფლო საბჭოების ზოგიერთი მუდმივი კომისია. ისინი სათანადო დახმარებას ვერ უწევენ შუშაობაში აღმასტულებელ კომიტეტებს, ზოგიერთ სასოფლო საბჭოს მუდმივ კომისიას არც ერთი საკითხი არ შეუტანია სესიისა და აღმასკომის სხდომაზე განსახილებულად. მუდმივი კომისიები ჯერ კიდევ არ იცნობენ მათი მუშაობის დეპულებას და გამოაქვთ დამავალდებულებელი გადაწყვეტილებანი.

ნაკლოვანებან არსებობს შშრომელთა განცხადებების მიღების, აღრიცხვისა და მათი განხილვის საქმეში. რაიონული საბჭოს აღმასკომში მიმდინარე წელს შემოსული 340 განცხადება-საჩივრიდან დიდი დაგვიანებით გაეცა პასუხი 36 განცხადებაზე; შშრომელთა წერილების მიღებისა და განხილვის საქმეში უკეთესი მდგომარეობა არაა სასოფლო საბჭოების აღმასკომებში. მაგალითად, შშრომელთა დეპუტატების გორას სასოფლო საბჭოს აღმასკომში მიმდინარე წელს შემოსული 29 განცხადებიდან დაკარგულია 22 განცხადება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი სთვლის, რომ განის რაიონის სოფლის მეურნეობის, მოსახლეობის საცემო მომსახურების, წესრიგის დაცვისა და სხვა დარღვებში გამოვლინებული ეს ნაკლოვანებანი და დარღვევები შედეგია იმისა, რომ რაიასაბჭოს აღმასკომი, სასოფლო საბჭოები, კოლმეურნეობათა გამგეობები და აღმასკომის განყოფილებათა ხელმძღვანელი მუშაკები ჯერ კიდევ არადამაქმაყოფილებლად მუშაობენ სკეპ XXI ყრილობის დადგენილებათა შესაბამისად თავიანთი საქმიანობის გარდაქმნისა და რაიონის წინაშე მდვრმი ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის. რაიონმასკომი არასაკმიდო მუშაობს ხელმძღვანელ მუშაკთა პერსონალური პასუხისმგებლობის ამაღლებისა და მუშაობაში ოპერატორობის დანერგვისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

I. დაევალოს ვანის რაიონის შშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს:

1) დასახოს და განახორციელოს ღონისძიებანი რაიონის კოლმეურნეობათა სამეურნეო-ორგანიზაციული განმტკიცებისა და მათი ეკონომიკის ამაღლებისა

ბისათვის, სასოფლო-სამეურნეო კულტურების დამუშავების აგროტექნიკურ ლონისძიებათა სრული კომპლექსის გატარებისა და სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მკეთრი აღმაღლობისათვის; დაებმაროს კოლმეურნეობებს ფულადი შემოსავლის ახალი წყაროების გამონახვისა და ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული შემოსავლის გეგმების აუცილებელი შესრულებისათვის, საკოლმეურნეო-საზოგადოებრივი მეურნეობის ყოველმხრივი განმტკიცების საფუძველზე უზრუნველყოს რაიონის მოსახლეობის მატერიალური მდგრამარეობის გადაჭრით გაუმჯობესება.

2) მკეთრად გააუმჯობესოს ხელმძღვანელობა საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებისადმი, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს პირუტყვის ჯიშობრივი შემაღენილობის გაუმჯობესებას, შეჩრიანობის, დაცვის მინიჭებამდე შემცირებას და პირუტყვის საერთო რაოდენობაში დედა პირუტყვის ხელდრითი წონის გადიდებას; საჭირო რაოდენობის საევების დაგროვებისა ხელმძღვანელობის მოვლა-პატრონობის გაუმჯობესების შედეგად უზრუნველყოს და პირუტყვის მიერთების პროცესის წარმოების ვალდებულების აუცილებელი შესრულება.

3) მიიღოს ზომები რაიონის კოლმეურნეობებში შრომის დისციპლინის განმტკიცებისა და შრომის ორგანიზაციის მოწესრიგებისათვის, უზრუნველყოს შრომისუნარიან კოლმეურნეთა უკლებლივი ჩაბმი საკოლმეურნეო საქმიანობაში, შრომის თავამრიდებლიბის მიმართ გაატაროს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობების წესდებით გათვალისწინებული ღონისძიებანი, საკოლმეურნეო საქმიანობაში ქალთა შრომის მაქსიმალური გამოყენების მიზნით 1960 წლის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა სეზონისათვის რაიონის ყველა კოლმეურნეობაში მოაწყოს საბავშვო დაწესებულებები.

4) ერთი თვის ვადაში შეისწავლის რაიონის კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დაცვის მდგრამარეობა და გაატაროს სასწავლონისძიებანი მეცნიერების დარგში არსებული ნაკლოვანებების დაუყოვნებლივი ლიკვიდაციისათვის, მტკიცედ დაიცვის კოლმეურნეთა და მუშა-მოსამსახურეთა პირად საკუთრებაში პირუტყვის ყოლის ნორმები, არ დაუშვას, რომ კოლმეურნეებს პირად სარგებლობაში ყველთ ხარები; შემოწმოს რაიონის ყველა კოლმეურნეობაში მიწასარგებლობის დოკუმენტაცია და უზრუნველყოს უკანონოთ გაცემული და მითვისებული მიწების კოლმეურნეობებისათვის დაბრუნება; მიიღოს საჭირო ზომები, რათა კოლმეურნეობებმა მოახდინონ დებიტორება; ული დაგალაინების ლიკვიდაცია, დამთავრონ გასული წლების შრომდლების მიხედვით კოლმეურნეებთან ანგარიშსწორება და მომავალში არ დაუშვან ავანსის გაცემა კოლმეურნეების მიერ გამომუშავებული შრომადლების გაუთვალისწინებლად.

5) გააუმჯობესოს ხელმძღვანელობა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის სამწლიანი გეგმით გათვალისწინებული ობიექტების მშენებლობისადმი, რეგულარულად შეისწავლოს ცალკეული ობიექტების მშენებლობის მიმღინარეობა და განიხილოს აღმასკომის სხდომებზე და რაიონული საბჭოს სესიებზე, მიიღოს ზომები მშენებლობის ტემპის დაჩქარებისა და გეგმის აუცილებლად შესრულებისათვის; უზრუნველყოს კულტურულ-საგანგმანათლებლო დაწესებულებების მუშაობის გრძელებისა მოსახლეობის კულტურული და მხატვრული მომსახურების დარგში, გამოაცემულოს სასოფლო კლუბების და ბიბლიოთეკების მუშაობა, მოაგვაროს მოსახლეობისათვის კინო-სურათების და თეატრალური დადგმების რეგულარულად ჩეკნების საქმე.

6) მეტი ყურადღება დაუთმოს ახალგაზრდობის აღზრდის საკითხებს,

გააუმჯობესოს სკოლებში სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობა, დაეხმაროს სკოლებს სასწავლო მუშაობის გარდაქმნისა და შრომისათვის ახალგაზრდობის მომზადების საქმეში, „ცხოვრებასთან სკოლის ქამურის განტყიცებისა და სახალინო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონის შესაბამისად. განახორციელოს ლონისძიებანი მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებისათვის, სამკურნალო დაწესებულებებისა და მედიცინის დარგის მუშავთა ნორმული მუშაობის პირობების შექმნისათვის.

7) ძირეულად გარდაქმნას სავაჭრო ორგანიზაციების მუშაობა, განამტკიცოს სავაჭრო ქსელი და საზევების ობიექტები პატიონსანი და საქმის მცირებულებით, მიიღოს მკაცრი ზომები საბჭოთა ვაჭრობის წესების დამრღვევთა წინააღმდეგ, მოამარავოს სოფლის მოსახლეობა პირველი მოთხოვნილების საქონლით, ლიკვიდაცია უყოს ანტისანიტარულ მდგომარეობას საზევების ობიექტებსა და სავაჭრო მაღაზიებში.

8) გაუმჯობესოს მუშაობა რაიონისა და სოფლების კეთილმოწყობის დარღვები, სრული სანიტარული წესრიგი დამყაროს რაიონტრიის ქარებში, წირმოება-დაწესებულებებში და სოფლის დასახლებებში, მოაწესრიგოს დასახლებული ჰუნეტებისა და გზის სანაბიროთა გამწვანების სამუშაოები, აამაღლოს საგზო განყოფილებისა და სასოფლო საბჭოების მუშავთა პასუხისმგებლობა ადგილობრივი გზებისა და ხიდ-მოგირების შეკეთების საქმეში, უზრუნველყოს ყველა კოლმეურნეობაში მუდმივი საგზაო ბრიგადების შექმნა და მათი მხოლოდ ამ დანიშნულებისათვის გამოყენება.

9) გარდაქმნას რაიონული საბჭოს აღმასკომის მილიციის განყოფილების მუშაობა, აამაღლოს მილიციის მეთაურთა და რიგით მუშავთა პასუხისმგებლობა რაიონში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საქმეში, ასენა-განმარტებითი მუშაობის გაშლისა და პროფილურეტიკულ ღონისძიებათა გატარებით ალმოწხვრას წესრიგისა და საბჭოთა კანონიერების დარღვევების შემთხვევები.

II. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების ვანის რაიონული და სასოფლო საბჭოების აღმასკომებს გამოასწორონ როგორც მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი, რისთვისაც:

1) უზრუნველყონ რაიონული და სასოფლო საბჭოების სესიებისა და აღმასკომების სხდომების მაღალ დონეზე ჩატარება, არ დაუშვან მოუმზადეკომისიები, დეპუტატები და აქტივი, ღრმად და ყოველმხრივ განიხილონ სესიებზე დასმული საკითხები, ფართოდ გაშალონ კრიტიკა და თვითკრიტიკა, სონ მათ განხორციელებაზე; დაეხმარონ მუდმივ კომისიებს მუშაობაში, პერიოდულად მოისმინონ სესიებზე მათი ანგარიშები, მოაწყონ მუდმივი კომისიების თავმჯდომარეებისა და მდივნების სემინარები პრაქტიკული მუშაობის საკითხებზე.

2) ყოველდღიური დახმარება გაუწიონ მუშაობაში რაიონული და სასოფლო საბჭოების დეპუტატებს, ფართოდ გააცნონ მათ სადეპუტატო უფლება-მოუაღებანი, წინასწარ შედგენილი კალენდარული გეგმის მიხედვით მოაწყონ დეპუტატების შეხვედრა ამომრჩევლებთან და მათთვის ანგარიშების ჩაბარება,

აღრიცხონ ამომრჩეველთა ყველა წინადაღება და პრაქტიკული შეინიშნა, ქმედითად დაესმარონ დეპუტატებს ამომრჩეველთა განაწესებისა და წინადაღების შესრულებაში, მოწინავე დეპუტატების გამოცდილების გაზიონისად და ხელი შეუწყონ იმ გამოცდილების ფართოდ დანერგვას მუშაობაში.

III. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს (ამს. შ. ჭანუყაძე) ქმედითი დახმარებ გაუწიოს ვანის რაიონს სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისა და სასოფლო-სამეურნეო პროცესტების წარმოების მკეთრად გადიდების საქმეში. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს კოლმეურნეობებში თესლბრუნვის დანერგვას, სასოფლო-სამეურნეო ორტელის წესდების განუხრელად გატარებას და საჭირო იარაღმანქანებით კოლმეურნეობების მომარაგებას.

IV. რესპუბლიკის პროკურორმა ამს. მ. თოფურიძემ, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრმა ამს. ი. ლარიბაშვილმა და უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარებ ამს. მ. ვეფხვაძემ გააუმჯობესონ ხელმძღვანელობა და დახმარება ვანის რაიონის პროკურატურის, საბალბო სასამართლოსა და რაიონილიციის მუშაობაზე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და საბჭოთა კანონიერების განუხრელი განაორციელებისათვის.

V. დაგვალოს ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროს (ამს. კ. ბარიგიანა) შეისწავლოს ვანის რაიონული ცენტრის კანალიზაციის სამუშაოები და უზრუნველყოს მისი განაორციელება უახლოესი სამი-ოთხი წლის განმავლობაში.

VI. დაევალოს კულტურის სამინისტროს (ამს. დ. ჩხიცევიშვილი):

ა) 1960 წლისათვის გაითვალისწინოს ვანის რაიონის კულტურის სახლის რეკონსტრუქციის სამუშაოები;

ბ) ვანის რაიონის აღმასკომის კულტურის განყოფილების 1959 წელში გამოუყოს ერთი კომპლექტი მოძრავი კინო-აპარატი და ერთი ცალი ივტომანქანა „გაზ 69“ მთის სოფლებში მოძრავი კინო აპარატის გადატანისა და კინოსეანსების ჩევნებისათვის.

VII. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გზატკეცილების მთავრი სამსართველოს (ამს. რობიტაშვილი) უახლოესი წლებისათვის გაითვალისწინოს ვანი-მაიკონების რესპუბლიკური მინიშვნელობის გზის კეთილმოწყობის სამუშაოები, ხოლო 1960 წელში უზრუნველყოს გზის კეთილმოწყობა 4 კილომეტრის მანძილზე.

VIII. დაევალოს საქართველოს სსრ ვანათლების სამინისტროს (ამს. გ. ჯიბლაძე) შეისწავლოს ვანის რაიონის სოფელ ყუმურის საშუალო სკოლის შენობის მშენებლობის მდგომარეობა და ვაუწიოს დამარება 1960 წელში მშენებლობის დამთავრებისათვის.

\* \* \*

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ვანის რაიონის აღმასკომისაგან მოითხოვს გადაჭრით გააუმჯობესოს ხელმძღვანელობა რაიონის სასოფლო საბჭოებისა და კოლმეურნეობებისადმი. რაისაბჭოს აღმასკომის განყოფილებებისა და სხვა დაქვემდებარებული წარმოება-დაწესებულებებისადმი, აგმაღლოს მომთხოვნელობა რაიონის საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციის ხელმძღვანელობისაღმი და მიიღოს ზომები რაიონის მშრომელთა დასარა-



ზმავად რაიონის წინაშე მდგომი ამოცანების შესრულებისათვის. ამასთან ეს დადგენილება განიხილოს რაიონული საბჭოს სესიაზე და დასახოს და განახორციელოს ლონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს  
პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს  
პრეზიდიუმის მდიგანი ჭ. გელ დაბაშვილი.

ქ. თბილისი.  
1959 წ. 9 ოქტომბერი.

**16. საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული აღმინისტრაციული კომისიების მუშაობის შესახებ**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმინისტრაციული კომისიები გარკვეულ მუშაობას ეწევიან სოციალისტური კანონიერების, მშრომელთა ღლზრდისა და მათ მიერ სოციალისტური საერთო თანაცხოვრების წესების დაცვისათვის. მიასთანავე მშრომელთა დეპუტატების ზოგიერთი რაიონული და საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ჯეროვან ხელმძღვანელობას არ უწევს აღმინისტრაციულ კომისიებს, სათანადოდ არ წარმართავს მათ მუშაობას, რის გამოც რესპუბლიკის რიგ რაიონებსა და ქალაქებში ეს კომისიები არადამაყმაყოფილებლად მუშაობენ, უშვებენ სერიონულ შეცდომებს, მათ მიერ მიღებული რიგი დადგენილება კანონსაწინააღმდეგოა და ოღმატება სრულიად საქართველოს ცავის და საქართველოს სსრ სახალის კომისართა საბჭოს 1931 წლის 17 სექტემბრის დადგენილებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

შემოწმებით დადგენილია, რომ მშრომელთა დეპუტატების ხაშურის, ბოლნისის, ორჯონიჯიძის, მარნეულის, აბმეტის, ყვარლის და ხობის რაიონული საბჭოების აღმასრულებთან არსებული აღმინისტრაციული კომისიები უმოქმედობას იჩენენ და მათი არსებობა ფორმალურ ხასიათს ატარებს.

თელავისა, სიღნაღისა და საჩხერის რაიონებში კომისიების სხდომები იშვიათად ტარდება. ყველა ზემოხსნებულ რაიონში ამ კომისიების ფუნქციებს ფაქტიურად მიღიციას რაიონული განყოფილებები ასრულებენ.

ქ. გორში, ორჯონიჯიძის, აბმეტის, თელავის, ცხაქაისა და ზუგდიდის რაიონებში, აღმინისტრაციული კომისიის შემადგენლობაში არიან არადეპუტატები.

კომისიებში ირლვევა კოლეგიალობის პრინციპი, კომისიის ზოგ სხდომებს არ ესწრება წევრთა უმრავლესობა. მაგალითად, თბილისის სტალინის სახელის რაიონის აღმინისტრაციული კომისიის 1959 წლის 4 ივნისის სხდომას 5 წევრიდან ესწრებოდა მხოლოდ 2, ხოლო ორჯონიჯიძის რაიონში 1959 წლის 20 ივნისის სხდომას თავმჯდომარეობდა კომისიის არაწევრი.

ქ. ჭიათურაში არის ფაქტები, რომ დამრღვევ პირებს ჯარიმის ახდევი-

წებენ ისე, რომ ჯერ დადგენილება არ არის გამოტანილი. ვ. ფანქულიძის დაჯარიმების შესახებ დადგენილება გამოტანილი იყო 1958 წლის 24 იანვარს, ჯარიმა კი მას 16 იანვარს გადაახდევინეს. ქ. ობილიძის სტალინის სახელმძინარეთის აღმინისტრაციული კომისიის თავმჯდომარე ზოგ შემთხვევაში დარღვევის ოქმის კომისიის სხდომაზე განხილვამდე პირადი რეზოლუცით აჯარიმებს დამრღვევებს.

რიგი აღმინისტრაციული კომისიის მიერ არ არის დაცული დამრღვევის მიმართ საკითხის განხილვისა და დასჯის შესახებ დადგენილების გამოტანისათვის დაწესებული 2 თვეს ვადა. მაგალითად, ხაშურის რაიონმასკებამის აღმინისტრაციულმა კომისიამ 1959 წლის 6 აგვისტოს სხდომაზე განხილა დარღვევის შესახებ 18 ისეთი ოქმი, რომლებიც შედგენილი იყო 1958 წელს. ანალოგურ ფაქტებს ადგილი ქონდა სილანდის, ორჯონიქიძის და თელავის რაიონებში.

ზოგ შემთხვევაში აღმინისტრაციული კომისიები ჯარიმას ახდევინებენ ისეთ საერთოდებულო გადაწყვეტილებებზე დაყრდნობით, რომელთა მოქმედების ვადა გასულია.

ზოგიერთი აღმინისტრაციული კომისია იხილავს ისეთ საქმეებს, რაც მათ კომპეტენციაში არ შედის. მაგალითად, საჩხერის, ყვარლის, სილნიძის, ცხაკაიას, ქ. თბილისის სტალინის სახ. რაიონების და ქ. ჭიათურის აღმინისტრაციულმა კომისიებმა განხილუს საკითხი იმ პირთა დაჯარიმების შესახებ, რომელთაც მოქალაქეთა დაბადებისა და გარდაცვალების შესახებ რეგისტრაცია დაწესებული ვადის დარღვევით მოახდინეს, მაშინ, როდესაც აღნიშნული საკითხის განხილვა საკ. ცაჟის და სახკომისაბჭოს 1936 წლის 27 ივლისის დადგენილებით ექვემდებარება მხოლოდ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკებაში.

არის შემთხვევები, როდესაც აღმინისტრაციული კომისიები სუსტად იბრძეან მათ შეირ დადგებული ჯარიმების ამოღებისათვის. მაგალითად, ორჯონიქიძის რაიონის აღმინისტრაციულმა კომისიამ 1959 წლის 20 ივნისს დარღვევებისათვის 13 კაცი დააჯარიმა, მაგრამ სისრულეში არ მოუყანია. ამავე კომისიამ 21 ჯარიმის 570. მანეთის საერთო თანხიდან შესძლო მხოლოდ 25 მანეთის ამოღება; ქ. ჭიათურის აღმინისტრაციული კომისიის დადგენილებით 1958 წლის იანვრიდან 1959 წლის სექტემბრამდე გადაწყვეტილი ჯარიმის 6.930 მანეთიდან ამოღებულია მხოლოდ 1.735 მანეთი. ასევე სუსტად იბრძეან ჯარიმების ამოღებისათვის საჩხერისა და თელავის რაიონების აღმინისტრაციული კომისიები.

ზოგიერთი აღმინისტრაციული კომისია თავის მუშაობაში არ იყენებს აღმშრდელობით მეთოდებს, არ აწყობს გამსელელ სხდომებს, ხშირ შემთხვევაში სხდომებზე არ იძახებს იმ მოქალაქეებს, რომელთა შესახებაც იხილავს საკითხს, მათი მოქმედების შესახებ არ ატყობინებს სამუშაო ადგილას, ნაკლებად იყენებს ადგილობრივ პრესას და არ ქმნის დამრღვევთა მიმართ საზოგადოებრივ აზრს. აღმინისტრაციული კომისიებისათვის წარდგენილი ოქმები დარღვევის შესახებ მოლიცის ზოგიერთი განყოფილების მუშაკების შეირ ქ. ჭიათურა, ხაშური, ორჯონიქიძე, ქ. თბილისის ლენინისა და სტალინის სახ. რაიონები) უხარისხოდ არის შედგენილი, არ არის ნაჩვენები შედგენის თარიღი და საერთოდებულო გადაწყვეტილება, რომლის ნორმებიცაა დარღვეული, ხოლო ზოგჯერ არ არსებობს დამრღვევის ახსნა-განმარტება ან ხელმოწერა და ზუსტი კ უშებება № 2.

მისამართი. არის ფაქტები, როდესაც ოქმებს დარღვევის შესახებ დიდი დაგვი-ანებით უგზავნიან კომისიებს.

ზოგიერთი აღმინისტრაციული კომისია ნაელებად არის მომარაგბული საკანონმდებლო აქტებით, ზოგჯერ მათ აღმასკომის სავალდებულო გადაწყვეტილებათა ასლებიც კი არ ეგზავნებათ. არ გააჩნიათ ერთიანი ფორმის სარეგისტრაციო უზრუნველყობი, მოქალაქეთა გამოძახებისა და ჯარიმების შეტყობინების უწყებები და სხვა.

შშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოს აღმასკომებთან არსებული აღმინისტრაციული კომისიების არადამაქმაყოფილებელი მუშაობა იმითაც არის გამოწვეული, რომ საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრო ნაკლებ დახმარებას უწევს მათ. ჯერ კიდევ არასაქმარისია საპროკურორო ზედამხედველობა, შესაბამისი საბჭოების აღმასკომები იშვიათად იძილავენ ამ კომისიების მუშაობის საკითხებს.

უნდა აღნიშნოს ავტორული, რომ მოქმედი დებულებები აღმინისტრაციული კომისიების და სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა და ამ დადგენილებათა დარღვევებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ ერთგვარად მოძველებულია.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ნ ს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ შშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს:

ა) უმოქალაქეს გადაში განიხილონ ეს დადგენილება და მიიღონ ზომები აღმინისტრაციული კომისიების მუშაობის მეცეთრად გაუმჯობესებისათვის, დროულად აღმოფხვრან მათ მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებები და შეცდომები. მიაღწიონ იმას, რომ ამ კომისიების მუშაობა ატარებდეს გეგმიურ ხასათს;

ბ) შემდგომში სისტემატურად შეამოწმონ აღმინისტრაციული კომისიების მიერ გამოტანილ დადგენილებათა კანონიერება, პერიოდულად მოისმინონ მათი მუშაობის ანგარიში აღმასკომების სხდომებზე, საბჭოების სესიებზე და გაატარონ კონკრეტული ლონისძიებანი მათი მუშაობის გაუმჯობესებისათვის;

გ) უზრუნველყონ აღმინისტრაციული კომისიები მოქალაქეთა გამოძახებისა და დაჯარიმების შესახებ შეტყობინების უწყებებით, სარევისტრაციო უზრუნველებით, დადგენილების ფორმებით და აღმინისტრაციული კომისიებისათვის საჭირო სხვა მასალებით;

დ) პრაქტიკული დახმარება გაუწიონ მათ მიერ მიღებულ დადგენილებათა განხორციელებაში და გამსვლელი სხდომების ორგანიზაციის საქმეში. ადგილობრივი პრესის საშუალებით მათი საქმიანობა გააცნონ შშრომელთა ფართო მასებს.

2. დაევალოს შშრომელთა დეპუტატების რაიონულ და საქალაქო საბჭოების აღმასკომებთან არსებულ აღმინისტრაციული კომისიების თავმჯდომარეებს:

მიიღონ ზომები ამ კომისიების მუშაობის გამოცოცხლებისათვის, სისტემატურად ჩატარონ კომისიების სხდომები, არ დაუშენავ კოლეგიალობის პრინციპის დარღვევა და უფლებამოსილებათა გადაჭირება, დროულად განიხილონ ოქმები დამრღვევით შესახებ და მიიღონ კანონშესაბამისი დადგენილებები.

უზრუნველყონ მიღებული დადგენილებების დროული შესრულება, ამასთან ერთად ფართოდ გაზალონ აღმშრდელობითი მუშაობა, კომისიების სხდომებზე საკითხები განიხილონ დამრღვევი ჭირების თანდასწრებით, განუმარტონ მათ ჩაღენილი დარღვევის უარყოფითი მნიშვნელობა საზოგადოებრივი წესრიგი-

საფინანსო დარღვევების ფაქტის შესახებ დამრღვევის სამუშაო ადგილას, ფართოდ გამოიყენონ ადგილობრივი პრესა და შექმნან წესრიგისა და კანონის ერების დამრღვევთა მიმართ საზოგადოებრივი ზემოქმედების ატმოსფერო.

3. დაევალოს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს:

ა) სისტემატური დაბმარება აღმოჩენის მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებთან არსებულ აღმინისტრაციულ კომისიების მუშაობაში და გაუწიოს მათ სათანადო ინსტრუქტაცია;

ბ) უზრუნველყოს მილიციის ორგანოების მიერ იმ პირთა მიმართ მასალების დროულად შედგენა და გადაგზავნა აღმინისტრაციული კომისიებისათვის, რომელიც აღმინისტრაციულ პასუხისმგებლობას ექვემდებარებიან.

4. საქართველოს სსრ პროკურატურამ, ქალაქისა და რაიონის პროკურორების მეშვეობით გააძლიეროს ზედამხედველობა რაიონულ და საქალაქო საბჭოების აღმასკომებთან არსებული აღმინისტრაციული კომისიების მუშაობაზე.

5. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიას, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის იურიდიულ განკოფილებასთან ერთად შეიმუშაოს და 1960 წლის 1 მარტამდე წარმოუდგინოს პრეზიდიუმს განსახილეველად პროექტი ხელისუფლების აღიღლობრივი ორგანოების მიერ სავალდებულო გადაწყვეტილებათა გამოცემისა და ამ გადაწყვეტილებათა დარღვევისათვის აღმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს  
პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს  
პრეზიდიუმის მდიგარი ჭ. გელაშვილი.

ქ. თბილისი.

1959 წ. 9 იქტომბერი.

17. ბრძანებულება საქართველოს გამომცემლობებისა და სტამბების მოწინავე მუშაკების დაჯილდოვების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით

საქართველოში პირველი სტამბის დაარსების 250 წლისთავთან დაკავშირებით, ხანგრძლივი, უწინიქველო მუშაობისა და მაღალი საწარმოო მაჩვენებლებისათვის დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

- |                                 |  |
|---------------------------------|--|
| 1. ალექსანდროვი სიმონ პავლეს-ძე | — საქმთავარპოლიგრაფგამომცემლობის 2-ე სტამბის დირექტორი                             |
| 2. ანსეინი პეტრე სტეფანეს-ძე    | — ლენინის სახელობის სოხუმის სტამბალითოგრაფიის მმეტადაგი                            |
| 3. ბაკურაძე ვასილ ერმალოზის-ძე  | — საქმთავარპოლიგრაფგამომცემლობის ფერადი ბეჭდვის სტამბის მეინდავი                   |
| 4. ბასინოვი ანტონ გიორგის-ძე    | — საქართველოს მწერალთა კავშირის გამომცემლობა „ზარია ვოსტროკას“ ტექნიკური რედაქტორი |

5. ბერიძე შალვა გრიგორის-ძე
6. ბუჩქური გასილ ბესარიონის-ძე
7. გაბეკეირია ალექსანდრე ვასილის-ძე
8. გადლიბა მიხეილ ვასილის-ძე
9. გოგიავა ალექსანდრე ქონსტანტინეს-ძე
10. გოგიაზე გაბო ესტატეს-ძე
11. გორდეზიანი ბენო პავლეს-ძე
12. ღვებუაძე ირაკლი რომანზის-ძე
13. ღოლუხანოვი მიხეილ ნიკოლოზის-ძე
14. დუბბაძე დავით ვარდენის-ძე
15. ზასევა ანა ვასილის ასული
16. თოლუა ანდრია როსტომის-ძე
17. თედელური ნინო ნიკოლოზის ასული
18. იაჩანიძე გიორგი პორფილეს-ძე
19. იოსელიანი თამარ ნესტორის ასული
20. კალანდარიშვილი გიორგი ალექსანდრეს-ძე
21. კაკუშაძე ნოე ვასილის-ძე
22. კოხრეძე ალექსანდრე ილარიონის-ძე
23. კუიუმჯიანი ნუბარ ტიგრანის-ძე
24. მაჭარაძე კირილ ლევანის-ძე
- საქმთავარპოლიგრაფგამომცემლობის 1-ლი სტამბის საამქინაო საამქროს ოსტატი
- საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის 1-ლი სტამბის სტერეოტიპიორი
- სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის დირექტორი
- ლენინის სახელობის სოხუმის სტამბალითოგრაფიის დირექტორი
- ბათუმის სტამბალითოგრაფიის ასოთამწყობი
- საქმთავარპოლიგრაფგამომცემლობის ფოტოცენკოგრაფიის საამქროს ოსტატი
- საქმთავარპოლიგრაფგამომცემლობის ქართული შრიფტის კომიტეტის პასუხისმგებელი მდივანი
- საქმთავარპოლიგრაფგამომცემლობის ზუგდიდის სტამბის დირექტორი
- საქმთავარპოლიგრაფგამომცემლობის 2-ე სტამბის საამქროს უფროსი
- გამომცემლობა „საბჭოთა ქაქართველოს“ მთავარი რედაქტორი
- საქმთავარპოლიგრაფგამომცემლობის სტალინირის სტამბის ასოთამწყობი
- საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სტამბის ასოთამწყობი
- გორის საქალაქო სტამბის ასოთამწყობი
- გამომცემლობა „ცოდნას“ დირექტორის მოადგილე
- გამომცემლობა „საბჭოთა მწერლის“ კორექტორი
- საქმთავარპოლიგრაფგამომცემლობის შრიფტის ჩამომსხმელი ქარხნის დირექტორი
- საქმთავარპოლიგრაფგამომცემლობის 1-ლი სტამბის დირექტორი
- საქმთავარპოლიგრაფგამომცემლობის შრიფტის ჩამომსხმელი ქარხნის სამართლი მეურნეობის უფროსი
- საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის 2-ე სტამბის დამეაბალონებელი
- ბათუმის სტამბალითოგრაფიის ასოთამწყობი

- 25. მახაჩაშვილი განია  
ანტონის ასული
- 26. მახვილაძე ბიქტორ  
ლუკას-ძე
- 27. მერცეშაშვილი ვახტანგ  
იოსების-ძე
- 28. მოლარიშვილი ალექსანდრე  
იასონის-ძე
- 29. ნაცელიშვილი ივანე  
მათეს-ძე
- 30. რაგოზინი ბორის  
ისაკის-ძე
- 31. რუხაძე ქსენია  
ალექსანდრეს ასული
- 32. რუდიჩიკი კონსტანტინე  
ადამის-ძე
- 33. სალიაშვილი ნიკოლოზ  
გრიგოლის-ძე
- 34. სერია ალექსანდრე  
ნიკიტას-ძე
- 35. სიუჟაევი ნიკოლოზ  
სიმონის-ძე
- 36. სხირტლაძე ვასილ  
თევდორეს-ძე
- 37. ტოროტაძე ერასტი  
ილარიონის-ძე
- 38. ტოროტაძე ნიკოლოზ  
გაბრიელის-ძე
- 39. შანაზაროვი აშოტ  
კარაპეტის-ძე
- 40. ჩიჩუა სამსონ  
კირილეს-ძე
- 41. ცაგარეიშვილი ილია  
ივანეს-ძე
- 42. ცერცეაძე გიორგი  
გიორგის-ძე
- 43. წიგწიგაძე ერასტი  
ლეონტის-ძე
- 44. წიგწიგაძე შალვა  
ლეონტის-ძე
- საქმთავარპოლიგრაფგამომცემლობის ბე-  
ჭდებითი სიტყვის კომბინატის მკინძავი
- საქმთავარპოლიგრაფგამომცემლობის ბუ-  
თაისის სტამბის ყოფილი ასოთამშეყობი  
ამქამად პენსიონერი
- საქმთავარპოლიგრაფგამომცემლობის ბე-  
ჭდებითი სიტყვის კომბინატის დირექტო-  
რი
- მახარაძის რაიონული სტამბის დირექტორი
- საქმთავარპოლიგრაფგამომცემლობის ფო-  
ტოცინერების დირექტორი
- საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის  
2-ე სტამბის დამკაბალონებელი
- საქმთავარპოლიგრაფგამომცემლობის ბე-  
ჭდებითი სიტყვის კომბინატის ლინოტიპი-  
სტი
- საქმთავარპოლიგრაფგამომცემლობის 1-  
ლი სტამბის მშეცდავი
- საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის  
1-ლი სტამბის მშეცდავი
- საქმთავარპოლიგრაფგამომცემლობის ბე-  
ჭდებითი სიტყვის კომბინატის მექანიკისი
- სამხრეთ ლექის სახელმწიფო გამომცემ-  
ლობის ტექნიკური რედაქტორი
- საქმთავარპოლიგრაფგამომცემლობის შრ-  
იფტის ჩამომსახმელი ქარხნის სამქროს  
უფროსი
- გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“  
უფროსი რედაქტორი
- გამომცემლობა „საბჭოთა მწერლის“ სტ-  
ამბის დირექტორი
- საქმთავარპოლიგრაფგამომცემლობის მთ-  
ავარი ინგინერი
- ფოთის საქალაქო სტამბის სამქროს უფ-  
როსი
- საქმთავარპოლიგრაფგამომცემლობის 1-  
ლი სტამბის ყოფილი დირექტორი, ამქა-  
მად პენსიონერი
- თელავის რაიონული სტამბის ასოთამ-  
შეყობი
- ლიტო-ოფსეტური ბეჭდვის ფაბრიკის დი-  
რექტორი
- საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის  
პოლიგრაფკომბინატ „კომუნისტის“ სტამ-  
ბის დირექტორი

45. წერტელი დავით მიხეილის-ძე
46. წოწოლაშვილი ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე
47. ჭეიშვილი გალერიან სამუელის-ძე
48. ჯიოვა გარიაზ ვასილის ასული
- საქმთავარპოლიგრაფგამომცემლობის 2-ე სტამბის ტექნიკური ხელმძღვანელი
- საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სტამბის ასოთამწყობი
- საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის 1-ლი სტამბის ასოთამწყობი
- საქმთავარპოლიგრაფგამომცემლობის სტალინირის სტამბის საამქროს უფროსი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს  
პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს  
პრეზიდიუმის მდიგარი ჭ. გელადიაშვილი.

ქ. თბილისი.

1959 წ. 14 ოქტომბერი.

**18. მრავალშვილიანი დედების „სახელოვანი დედის“ ორდენებითა და „დედობის მედლის“ მედლებით დაჯილდოების შესახებ**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი 1959 წლის 9 სექტემბრის ბრძანებულებით დააჯილდოება „სახელოვანი დედის“ ორდენებით და „დედობის მედლის“ მედლებით 520 მრავალშვილიანი დედა, მათ შორის:

ქალაქ თბილისიდან . . . . .	29
ქალაქ ჭიათურიდან . . . . .	64
ახალციხის რაიონიდან . . . . .	14
ბოგდანოვების „ . . . . .	25
ბოლნისის „ . . . . .	96
ვ ა ნ ი ს „ . . . . .	20
ზესტაფონის „ . . . . .	15
ზნაურის „ . . . . .	38
თელავის „ . . . . .	3
თეთრიშვილის „ . . . . .	20
თიანეთის „ . . . . .	7
კასპის „ . . . . .	25
ლანჩხუთის „ . . . . .	4
ლენინგრადის „ . . . . .	50
ლენტეხის „ . . . . .	36
მცხეთის „ . . . . .	7
სტალინირის „ . . . . .	26
ცხაკიას „ . . . . .	9
წალკის „ . . . . .	15
ხობის „ . . . . .	17